

განმარტებითი ბარათი

„ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილებებისა და დამატების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი

კანონის მომზადება განპირობებულია იმ გარემოებით, რომ მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების გაუმჯობესების მიზნით, მათთვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება უზრუნველყოფილი იქნება რამდენიმე მიმართულებით. აღნიშნული მიმართულებები ასახული უნდა იქნეს „ჯანმრთელობის დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონზე, რომელიც ამ ეტაპზე ითვალისწინებს, სამედიცინო მომსახურების მიწოდების მხოლოდ პროგრამულ დაფინანსებას. ამდენად, წარმოადგენილი ცვლილებების მიზეზია აღნიშნული საკითხების საკანონმდებლო დონეზე რეგლამენტაცია.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი

კანონპროექტის მიზანია განსაზღვრული მიზნობრივი ჯგუფებისათვის, მათ შორის, სილატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობისათვის, სამედიცინო მომსახურების მიწოდების გაუმჯობესება, მათთვის სამედიცინო სერვისების რამდენიმე პრინციპით მიწოდების გზით.

ამ პროცესში, სახელმწიფოს მხრიდან სამედიცინო მომსახურების დაფინანსება განხორციელდება რამდენიმე მიმართულებით, კერძოდ:

პირველი მიმართულება არის დაზღვევა, რომლის დროსაც მოსახლეობის გარკვეული მიზნობრივი ჯგუფი მაგალითად, სილატაკის ზღვარს ქვემოთ მყოფი ოჯახი, ან კონკრეტული სამედიცინო ნიზოლოგიის ქვეშ გაერთიანებული პირები, სახელმწიფოსაგან იღებენ დაზღვევის ვაუჩერს, რომელსაც თავიანთი შეხედულებისამებრ, წარადგენენ მათ მიერვე შერჩეულ სადაზღვეო კომპანიაში. თავის მხრივ, სადაზღვეო ორგანიზაცია მასთან დარეგისტრირებულ ვაუჩერით მოსარგებლეთა ვაუჩერებს წარუდგენს სსიპ „სოციალური დაზღვევის ერთიან სახელმწიფო ფონდს“, რომელიც სადაზღვეო კომპანიასთან ანგარიშსწორებას მოახდენს წარმოდგენილი ვაუჩერების საფუძველზე. დაფინანსების აღნიშნული მიმართულების მიზანს წარმოადგენს ბენეფიციარისათვის – სადაზღვეო ვაუჩერით მოსარგებლისათვის თავისუფალი არჩევანის მიცემის შესაძლებლობა, რათა მათ თავად განსაზღვრონ მათთვის ხელსაყრელი სადაზღვეო კომპანია, სადაც მოახდენენ სახელმწიფოს მიერ საკუთრებაში გადაცემული ფასიანი ინსტრუმენტით – ვაუჩერით სარგებლობას.

მეორე მიმართულებას წარმოადგენს სამედიცინო ვაუჩერით დაფინანსების გზა. ამ დროს, სამედიცინო მომსახურების დაფინანსება ხდება სახელმწიფოს მხრიდან კვლავ ვაუჩერის გადაცემის გზით, იმ განსხვავებით, რომ ბენეფიციარისათვის სამედიცინო მომსახურების მიწოდება არ განხორციელდება დაზღვევის მეშვეობით (რამდენადაც, ე.წ. „სადაზღვეო რისკი წინასწარ არის ცნობილი). არამედ, პირი სახელმწიფოსაგან მიიღებს გარკვეული ღირებულების სამედიცინო ვაუჩერს, რომელსაც თავადვე გაანაღდება პირდაპირ სამედიცინო დაწესებულებაში, ამ წესით მოსახურების ღირებულება უნაზღაურდებათ, მაგალითისთვის, ორსულ ქალებს.

მესამე მიმართულებად კვლავ რჩება არსებული პროგრამული დაფინანსება, რომლის დროსაც, სახელმწიფო ადგენს ნოზოლოგიებსა და მათ შესაბამის სტანდარტებს, რის ფარგლებშიც ქნება გათვალისწინებული პროგრამული დაფინანსება.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი

კანონპროექტით კანონის მოქმედი რედაქციის მე-3 მუხლის ემატება „ზ¹⁴“ ქვეპუნქტი, რომელიც განმარტავს ვაუჩერის ტერმინს, როგორც სახელმწიფოს მიერ მიზნობრივი ჯგუფისათვის გადაცემულ მიმოქცევადი ფინანსური ინსტრუმენტს, რომელიც განკუთვნილია სამედიცინო მომსახურების ან პირადი დაზღვევის (სიცოცხლე და/ან ჯანმრთელობა) დასაფინანსებლად.

ვაუჩერის მესაკუთრე შეიძლება იყოს ერთი პირი, ან ოჯახი. მისი გაცემის წესი და პირობები რეგულირდება საქართველოს მთავრობის დადგენილებით.

პროექტით ცვლილება შედის ასევე მე-19 მუხლში, რომლის მიხედვითაც, სახელმწიფო დაფინანსებით მიზნობრივი ჯგუფებისათვის სამედიცინო მომსახურებას ან პირადი დაზღვევის მიწოდება ხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით ან სამედიცინო ვაუჩერის გზით. აღნიშნული განპირობებულია იმ გარემოებით, რომ დაზღვევით სამედიცინო მომსახურების შესყიდვას, წარმოდეგილი კანონპროექტის პორინციპების მიხედვით, ახორციელებს თავად ბენეფიციარი – ვაუჩერის მესაკუთრე, რომელიც სახელმწიფოსაგან იღებს მხოლოდ გარკვეული მოცულობის ან/და ღირებულების მქონე ფინანსურ ინსტრუმენტს, რომელსაც შემდგომ, თავისი სურვილისამებრ, ანაღებს რომელიმე სადაზღვეო ორგანიზაციაში. ამ შემთხვევაში ნების გამოვლენა ხდება მხოლოდ ვაუჩერის მესაკუთრისა და სადაზღვეო ორგანიზაციის მიერ, შესაბამისად, აღნიშნული განოხორციელდება სამოქალაქო სამართლის პრინციპების საფუძველზე. ხოლო დაფინანსების სხვა მიმართულებების გამოყენებისას, როდესაც მომსახურების მიმწოდებელს არჩევს სახელმწიფო, აღნიშნული განხორციელდება „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონით.

იმ შემთხვევაში, თუ კანონმდებლობით განსაზღვრულ ვადაში, პირი არ გააკეთებს არჩევანს, დარჩენილი ბენეფიციარებისათვის, მათი უფლებების დაცვის მიზნით, სადაზღვეო ორგანიზაციის გამოვლენა მოხდება ვაუჩერის პირობების შესაბამისად, არსებული სადაზღვეო ორგანიზაციებიდან, რომლების წერილობით გამოხატავენ ნებას აღნიშნულ პროცესში მონაწილეობის თაობაზე.

სამედიცინო მომსახურების მიმწოდებლები ვალდებული არიან თანაბარ პირობებში, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე ერთი და იგივე მოცულობისა და ღირებულების ვაუჩერის მესაკუთრეებს მიაწოდოს თანაბარი (საჭიროების მიხედვით), სრული, ხარისხიანი და ადეკვატური მომსახურება ვაუჩერით განსაზღვრულ ფარგლებში.

კანონპროექტით სწორდება კანონის მოქმედი რედაქციის 132-ე მუხლის მე-2 პუნქტის ჩანაწერი, რამდენადაც, ორსულთა მშობიარობის დაფინანსება არ ხდება სადაზღვეო პრინციპით, როგორც ეს მოცემულია კანონის დღეს მოქმედ რედაქციაში, არამედ, აღნიშნული ხორციელდება „საჯარო სამსახური შესახებ“ საქართველოს კანონით, შრომის კოდექსითა და სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული ანაზღაურების წესის შესაბამისად.

კანონპროექტით ძალადაკარგულად ცხადდება „სამედიცინო დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონი, რამდენადაც, ხსენებული კანონი წინააღმდეგობაში მოდის წარმოგენილი კანონპროექტითან.

ბ) კანონის პროექტის ფინანსური დასაბუთება

ბ.ა) კანონის პროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო

კანონპროექტის მიღება არ მოითხოვს ბიუჯეტიდან დამატებით ფინანსურ ხარჯებს, რამდენადაც აღნიშნული ცვლილებით ზუსტდება მიმდინარე წლის ბიუჯეტით სამინისტროსათვის გამოყოფილ ასიგნებათა ფარგლებში.

ბ.ბ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე

კანონის პროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს საშემოსავლო ნაწილზე

ბ.გ) კანონის პროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე

კანონის პროექტი გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე, რამდენადაც აღნიშნული ცვლილება დაკავშირებული არ არის საბიუჯეტო სახსრების ოდენობის ცვლილებასთან.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები

კანონის პროექტის მიღება არ გამოიწვევს სახელმწიფოსათვის ახალი ფინანსური ვალდებულებების წარმოქმნას.

ბ.ე) კანონის პროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება

კანონპროექტი არ გამოიწვევს ფინანსურ შედეგებს იმ პირებისათვის, რომლებზედაც ვრცელდება მისი მოქმედება.

ბ.ვ) კანონის პროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელი ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი)

კანონპროექტით არ ღვინდება გადასახადის, მოსაკრებელი ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრისა და დადგენის წესი.

გ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან

გ.ა) კანონის პროექტის მიმართება ევროკავშირის ღირებულებებთან

კანონის პროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის ღირებულებებს

გ.ბ) კანონის პროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებში წევრობასთან დაკავშირებით აღებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონის პროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან

კანონის პროექტის მიღება არ არღვევს და არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ დადებულ ორმხრივ და მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრულებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონის პროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/ დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონის პროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში

კანონის პროექტი არ ყოფილა წარდგენილი ექსპერტებისათვის.

დ.ბ) კანონის პროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ
კანონპროექტი შემუშავებაში არ მიუღიათ მონაწილეობა ორგანიზაციებსა და დაწესებულებებს.

დ.გ) კანონის პროექტის ავტორი
კანონპროექტის ავტორია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო.

დ.დ) კანონის პროექტის ინიციატორი
კანონის პროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.